საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიპლიპიტო

დიპლიპიტო

დიპლიპიტო, სამხრეთ კავკასიაში ფართოდ გავრცელებული აღმოსავლური წარმოშობის დასარტყამი საკრავი.

შედგება გამომწვარი თიხისგან დამზადებული სხვადასხვა სიგანისა და ერთი სიმაღლის ორი პატარა ქოთნისაგან (ქილა), რ-ებზეც გადაკრულია თიკნის ტყავი ან ხარის ფაშვის ბუშტი. ქოთნები ერთმანეთზე თასმითაა გადაბმული. მათი სიმაღლეა 200–250 მმ, დიამეტრი პატარისა – 90 მმ, დიდისა – 170 მმ. შევიწროებული ძირის დიამეტრია 25–50 მმ. გარედან ნაირფერადაა მოხატული.

დ-ს უკრავენ ხის ორი პატარა ჯოხით, „თხის ფეხუნებით". დ-ს რაკრაკა ხმოვანება ახასიათებს. თუ ჟღერადობის გასაძლიერებლად ტყავის დაჭიმვა უნდათ, ქოთნებს მაყალზე ათბობენ, მოსაშვებად კი ტყავებს ოდნავ ასველებენ.

დ. უმთავრესად საანსამბლო საკრავია. პროფესიულ ორკესტრში პირველად შეიტანა მ. იპოლიტოვ-ივანოვმა („კავკასიურ ესკიზებში", 1894).

დ. გამოიყენა არაყიშვილმა ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე", რ. გლიერმა – „შაჰ-სენემში" და სხვ.

გ. ჩხიკვაძე